საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და
აუდიტორთა ფედერაციას

გვარი, სახელი: [illegible]
პირადი #: 01024045024

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვარ ბაფის წევრი, სურვილი მაქვს დავრეგისტრირდე ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატად როგორც ...აუ.დ.ფი.ს......... სეგმენტის წარმომადგენელი.

განცხადებას თან ერთვის:

- *პირადი ხედვა - სამოტივაციო წერილი, ბაფის საქმიანობაში მონაწილეობისა და წვლილის შესახებ*
- *რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან (აკადემიური სექტორის და აუდიტორული ფირმის წარმომადგენლის შემთხვევაში)*
- *სარეკომენდაციო მხარდაჭერის წერილი ბაფის არანაკლებ 5 წევრისაგან (ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების და ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორების შემთხვევაში)*

[illegible]
(ხელმოწერა)

21. 12. 2022.
(თარიღი)

ნინო მენაბდე

გამგეობის წევრობის კანდიდატი

გაცნობებთ, რომ ფედარეციის ნამდვილი წევრი ვარ 2000 წლიდან და არასდროს არ წამომიყენებია ჩემი კანდიდატურა გამგეობის წევრობის პოზიციაზე, თუმცა ყოველთვის დიდი ყურადღებით ვადევნებდი თვალს ყველა მნიშვნელოვან მოვლენებს. ეხლა გადავწყვიტე წარვადგინო ჩემი კანდიდატურა საქართველოს პროცესიულ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციი გამგეობის წევრის პოზიციაზე, როგორც ბიზნესში დასაქმებული ბუღალტერმა.

განათლებით ვარ ინჟინერი (ბაკალავრიატი), ეკონომისტი (ბაკალავრიატი), ფინანსები (მაგისტრატურა/თავისუფალი უნივერსიტეტი). ვარ ასოცირებული პროფესორი და ძირითად პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ვკითხულობ ლექციებს ქართულ/ამერიკულ უნივერსიტეტში (GAU). ეს მაძლევს საშუალება ურთიერთობა მქონდეს ახალგაზრდა თაობასთან და ზუსტად გავიაზრო მათი ინტერესები, მოთხოვნები.

მე პრაქტიკიდან მივედი საგანმანათლებლო სფეროში. მაქვს 25 წლიანი პროფეციული საქმიანობის გამოცდილება სხვადასხვა სფეროებში (მშენებლობა, ქიმიური წარმოება, ლუდის და ლიმონათის წარმოება). შეძლებისდაგვარად ძირითად საქმიანობასთან ერთად ვმუშაობ დამოუკიდებელ აუდიტორად.

კარგად ვიცნობ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს დღეს მოქმედ კანონს. ვაცნობიერებ გლობალურ ახალ გამოწვევებს ჩვენი საქმიანობის სფეროში. მაქვს სურვილი ჩვენი პროფესიული ორგანიზაცია გახდეს ჩვენი პროფესიის (ბუღალტერია/აუდიტი) პოპულარიზაციისათვის უფრო აქტიური ახალგაზრდებში და პროფესიული საქმიანობის ხარისხის ამაღლებაში.

გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში, ჩემი მრავალწლიანი/მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილებით მინდა წვლილი შევიტანო ბაფი-ს წარმატებაში და ჩვენი პროფესიის პოპულარიზაციაში.

ნინო მენაბდე

08/12/2022

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა

და აუდიტორთა ფედერაციის

საერთო საარჩევნო კრებას

ნინო მენაბდე-ის

სარეკომენდაციო წერილი

22 წელია ვიცნობ ნინო მენაბდეს. ჩვენ ერთად გავხდით პროფესიონალი ბუღალტერი და ბაფი-ს ნამდვილი წევრი. იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, ფართო ერუდიციით, სიახლისადმი სწრაფვით, სტრატეგიული აზროვნებით. დიდი და მრავალფეროვანი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე ადაპტირებს მოქნილად, მართავს გაბედულად , იღებს გადაწყვეტილებას პროაქტიულად.

ამდენი წელია მუშაობა თავისი პროფესიით, სარგებლობს კოლეგების პატივისცემი რადგან როგორც მენეჯერი იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე და სხვებზეც, როგორც წარმატების ასევე წარუმატებლობის შემთხვევაში. არის მისაბაძი/სასურველი მაგალითი - შიდა პილიტიკებში, პრინციპებში, პროცედურებში და ა.შ.

ნინო აზროვნებს მიღებულ იდეებს მიღმა, შეიგრძნობს სიახლეებისათვის გახსნილ შესაძლებლობებს.

მე, მანანა გაგნიძე, როგორც ნინოს კოლეგა და მეგობარი, რომელიც კარგად იცნობს მის მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას და შესაძლებლობებს, რეკომენდაციას ვუწევ მას გამგეობის წევრობის კანდიდატად და მიმაჩნია რომ იგი ნამდვილად ბაფ-ის გამგეობის ღირსეული წევრი იქნება.

ამიტომ მოგმართავთ თხოვნით მხარი დაუჭიროთ ნინო მენაბდეს.

მანანა გაგნიძე

7. 12. 2022

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა

და აუდიტორთა ფედერაციის საერთო საარჩევნო კრებას,

ნინო მენაბდე-ს

სარეკომენდაციო წერილი

ბატონები და ქალბატონებო, მოგმართავთ რა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საერთო კრებას და გამგეობის წევრებს, მინდა წარმოგიდგინოთ გამგეობის წევრობის კანდიდატი, ქალბატონი ნინო მენაბდე.

ნინო მენაბდე არის ბაფის ნამდვილი წევრი 2000 წლიდან. მე ვიცნობ მას 22 წელია. პროფესიული თანამშრომლობის ამ ხანგრძლივ პერიოდში მრავალგზის დავრწმუნდი მის პროფესიონალიზმში. იგი გამოირჩევა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით, პროფესიული ეთიკის წესების განსაკუთრებული პატივისცემით, შრომისუნარიანობით, გუნდური მუშაობისა უნარით და ამავდროულად ლიდერობის უნარით.

აღსანიშნავია მისი ფართო სამუშაო გამოცდილება ბიზნესის სხვადასხვა სფეროებში და ასევე პედაგოგიური მოღვაწეობა GAU - ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, ფინანსური აღრიცხვისა და მმართველობითი აღრიცხვის მიმართულებით.

დარწმუნებული ვარ, რომ მისი პიროვნება ბაფის გამგეობის წევრობისთვის საუკეთესო კანდიდატურაა. იგი მაქსიმალურად გამოიყენებს თავის პროფესიულ გამოცდილებას ბაფ-ის გამგეობის მომავალ საქმიანობაში.

მე, მანანა აბუაშვილი, ვუწევ რეკომენდაციას და გულწრფელად ვასახელებ გამგეობის წევრობის კანდიდატად. იმედი მაქვს ბაფის საარჩევნო ყრილობის დელეგატები და კოლეგები მხარს დამიჭერენ ამ არჩევანში.

პატივისცემით,

მანანა აბუაშვილი

შპს „დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერი გრეკო ჯორჯიას“

ფინანსური დირექტორი

საქართველოს პროფესიონალ
ბუღალტერთა

და აუდიტორთა ფედერაციის

საერთო საარჩევნო კრებას

ნინო მენაბდე-ს

სარეკომენდაციო წერილი

მე, დარეჯან შენგელია, წარმოგიდგენთ ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატად ნინო მენაბდეს.

20 წელზე მეტია ვიცნობ ნინო მენაბდეს, მას შემდეგ რაც ერთდროულად მივიღეთ პროფესიონალი ბუღალტრის წოდება.

22 წელზე მეტია ვაგრძელებთ აქტიურ მოღვაწეობას ჩვენი პროფესიის ფარგლებში და სისტემატიურად ვზრუნავთ საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებაზე.

ნინო მენაბდე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პროფესიონალიზმით და დიდი პასუხისმგებლობით. მას შეიძლება მიანდოთ ნებისმიერი სირთულისა და მნიშვნელობის საქმე. იგი ყოველთვის სარგებლობს კარგი ავტორიტეტით, არის კეთილსინდისიერი, მეგობრული, გულისხმიერი და თავაზიანი პიროვნება. აქვს გუნდური მუშაობის გამოცდილება.

აქედან გამომდინარე რეკომენდაციას ვუწევ გახდეს ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატი და ვიმედოვნებ რომ მხარს დამიჭერენ ბაფის ყრილობის დელეგატები.

ბაფ-ის ნამდვილი წევრი

პროფ.ბუღალტერი

დარეჯან შენგელია

05,12,2022

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა

და აუდიტორთა ფედერაციის

საერთო საარჩევნო კრებას

ნინო მენაბდე-ის

სარეკომენდაციო წერილი

მოგმართავთ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საერთო კრების დელეგატებს და წარმოგიდგენთ ნინო მენაბდეს გამგეობის წევრობის კანდიდატად.

ნინო მენაბდე არის პროფესიონალი ბუღალტერი და ბაფის ნამდვილი წევრი 2000 წლიდან. იგი არის შრომისმოყვარე , კეთილსინდისიერი, პასუხისმგებლობით აღსავსე, თავის პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება, რომელიც თავის ცოდნას და გამოცდილებას უზიარებს კოლეგებსა და სტუდენტებს (ასწავლის ქართულ ამერიკულ GAU უნივერსიტეტში). საგრებლობს ავტორიტეტით ბაფის წევრებს, კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

იგი გამოირჩევა პროფესიონალიზმით, შრომისმოყვარეობით, ფართო ერუდიციით, სიახლისადმი სწრაფვით, ოპერატიული აზროვნებით და კომუნიკაბელობით.

მე, ნონა გობეჩია, როგორც მისი კოლეგა, რომელიც კარგად იცნობს მის მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას და შესაძლებლობებს, რეკომენდაციას ვუწევ მას გამგეობის წევრობის კანდიდატად და მიმაჩნია რომ იგი ნამდვილად ბაფის გამგების ღირსეული წევრი იქნება.

ამიტომ გთხოვთ მხარი დაუჭიროთ ნინო მენაბდეს.

საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა

ფედერაციის ნამდვილი წევრი,

დამოუკიდებელი აუდიტორი

ნონა გობეჩია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა

და აუდიტორთა ფედერაციის

საერთო საარჩევნო კრებას

ნინო მენაბდე-ს

სარეკომენდაციო წერილი

ამ რეკომენდაციას ვაძლევ ნინო მენაბდეს. მე, მას ვიცნობ 2000 წლიდან, როცა ერთად გავხდით ბაფ-ის ნამდვილი წევრები. მას გააჩნია არაერთი ძლიერი მხარე. ის არის გონებამახვილი, ნიჭიერი, ორგანიზებული და ანალიტიკური აზროვნების მქონე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მას აქვს უნარი მართოს ნებისმიერი კრიტიკული სიტუაცია გონივრულად და მიიყვანოს ის ლოგიკურ და რაციონალურ გადაწყვეტილებამდე.

მიმაჩნია, რომ იგი არის მოტივირებული, მიზანდასახული, მენეჯერული და ლიდერული უნარებით.

ნინო არის პროფესიონალი თავისი საქმის დიდი პრაქტიკული გამოცდილებით. ის ზრუნავს როგორც საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზე, ასევე სტუდენტების განათლებასა და პროფესიული უნარჩვევების ჩამოყალიბებაზე. ძალიან ადვილად ეგუება და ითავისებს სიახლეებს , არის ინოვაციური და მოქნილი, ყოველთვის სურს ისწავლოს და გაიზარდოს. ენთუზიაზმით იღებს პასუხისმგებლობას ჩაერთოს ნებისმიერ ახალ და პრობლემურ საქმეში და აღწევს საოცარ შედეგებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მე, ლიკა ლატარია, ვუწევ რეკომენდაციას ნინო მენაბდეს გახდეს ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატი და დარწმუნებული ვარ, არჩევის შემთხვევაში, გაამართლებს ჩვენს იმედებს.

ბაფ-ის ნამდვილი წევრი,

ლიკა ლატარია,